უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

[ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), მაგისტრატურა]

[შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი]

[**20**/05/2026]

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი დავით

გვარი სიხარულიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206169304

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პრგორამა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VII
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ინგლისური
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	მერაბ ალექსიძის #10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25/02/2025 MES 4 25 0000466367
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	25/02/2025

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	25/02/2026
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	25/02/2032

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	■			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	■			
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	-			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	-			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	■			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

პროგრამის რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

2. რეკომენდებულია დაკორექტირდეს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუქა, რათა უზრუნველყოფილ იყოს სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობა

3. რეკომენდებულია დაზუსტდეს დაშვების მოთხოვნები, დეტალურად აღიწეროს ყველა წინაპირობა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს აპლიკანტების მიერ — პროგრამის დოკუმენტებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი ჩარიცხვის ყველა შესაძლებლობა

4. რეკომენდებულია მემორანდუმებში მკაფიოდ განისაზღვროს როგორც სტაჟირების ხანგრძლივობა, ასევე ჩართული სტუდენტების რაოდენობა

5. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს დამატებითი შეხვედრები და სემინარები კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პერსონალისთვის — სხვადასხვა გამოკითხვების საშუალებით შეგროვებული მონაცემები საფუძვლიანად იყოს გაანალიზებული და განხილული შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან და მენეჯერებთან

6. რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის მონიტორინგის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან მიღებულ რაოდენობრივ მონაცემებზე, არამედ გაითვალისფინებს შესაბამის შინაარსობრივ ანალიზსაც

7. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტუდენტების მიერ კვლევითი კომპონენტის და ხელმძღვანელობის შეფასების მექანიზმები

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

- **უსდ-ს მიერ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია**

რჩევ(ებ)ი[8]

- სასურველია, სამაგისტრო პროგრამის დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გადლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

- უსდ-ს მიერ რჩევები არ არის გათვალისწინებული.

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მასთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაცია I[14]	**რეკომენდებულია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.**
შეფასება	შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის დოკუმენტი, თითოეულ სწავლის შედეგზე (1-10) მითითებულია შეფასების მეთოდები და კომპონენტები, მოცემულია სწავლა-სწავლების მეთოდები და სამიზნე ნიშნულები, ასევე შედგენილია სწავლის შედეგების მიღწევის რუკა სემესტრების მიხედვით (I-IV).
რჩევა[15]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი

სტანდარტის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მასთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II[16]	**რეკომენდებულია დაკორექტირდეს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუქა, რათა უზრუნველყოფილ იყოს სწავლის შედეგების**

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობა
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუქა, სადაც თითოეული კურსისთვის მითითებულია სამი დონე — გაცნობა (I), გაფართოება-გაღრმავება (E) და განმტკიცება (R) — 10 სწავლის შედეგთან მიმართებაში. ასევე შედგენილია მიზნებისა და შედეგების რუქა, რომელიც აკავშირებს პროგრამის მიზნებს კონკრეტულ სწავლის შედეგებთან. გარდა ამისა, კურიკულუმში მითითებულია დაშვების წინაპირობები და სემესტრები, რაც გარკვეულ ლოგიკურ თანმიმდევრობაზე მიუთითებს.
რჩევა[17]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადექვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია დაზუსტდეს დაშვების მოთხოვნები, დეტალურად აღიწეროს ყველა წინაპირობა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს აპლიკანტების მიერ — პროგრამის დოკუმენტებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი ჩარიცხვის ყველა შესაძლებლობა.**
შეფასება	პროგრამაში მოცემულია დაშვების წინაპირობები — კერძოდ, მითითებულია, რომ მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებს, შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში და გასაუბრებას სპეციალობაში. ასევე გაწერილია ინგლისური ენის B2 დონის მოთხოვნა და ის შემთხვევები, როდესაც სტუდენტი ტესტირებისგან თავისუფლდება. გარდა ამისა, ჩამოთვლილია გასაუბრების მიზნები და მობილობის წესით

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	ჩარიცხვის შესაძლებლობაც არის მოხსენიებული.
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადექვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია მემორანდუმებში მკაფიოდ განისაზღვროს როგორც სტაჟირების ხანგრძლივობა, ასევე ჩართული სტუდენტების რაოდენობა.**
შეფასება	წარმოდგენილი ხუთი პრაქტიკის ხელშეკრულების — სტუდენტების რაოდენობის თვალსაზრისით, ყველა ოთხივე ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის მითითებული, რომ ერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტების დასაშვები რაოდენობა შეადგენს 5-ს. ეს ნაწილი სრულად შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. ყველა ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ პრაქტიკის ხანგრძლივობა ემთხვევა უნივერსიტეტის შესაბამისი სასწავლო სემესტრის ვადებს. მაშასადამე, სტუდენტების რაოდენობა განსაზღვრულია ყველა ხელშეკრულებაში და სტაჟირების კონკრეტული ხანგრძლივობა ზოგადად სემესტრის ვადებზეა მიბმული. **რეკომენდაცია შესრულებულია.**
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ხელშეკრულებები

სტანდარტის დასახელება	5. სწავლის ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს დამატებითი შეხვედრები და**

	სემინარები კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პერსონალისთვის — სხვადასხვა გამოკითხვების საშუალებით შეგროვებული მონაცემები საფუძვლიანად იყოს გაანალიზებული და განხილული შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან და მენეჯერებთან.
შეფასება	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ **რეკომენდაცია შესრულებულია.** შეხვედრებისა და სემინარების ჩატარების თვალსაზრისით, დოკუმენტებში ჩანს, რომ ჩატარდა რამდენიმე სახის შეხვედრა. დანართი 9-ის (შეხვედრის ოქმი N4) მიხედვით, 22 მარტს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, სადაც განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები, ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. გარდა ამისა, Google Meet-ის მიხედვით, 22 მარტს ლექტორებთანაც ჩატარდა ცალკე ვორქშოფი. დაინტერესებულ მხარეებთან განხილვის თვალსაზრისით, განვითარების კომისიის სხდომების ოქმები (N10, N11, N12) გვიჩვენებს, რომ ჩატარდა ცალკე სხდომები სტუდენტებთან (24.09.2025), კურსდამთავრებულებთან (07.10.2025) და დამსაქმებლებთან (16.10.2025). სამივე სხდომაზე განხილულ იქნა გამოკითხვების შედეგები, გამოვლინდა ძლიერი და გასაუმჯობესელი მხარეები და მიღებულ იქნა კონკრეტული გადაწყვეტილებები. **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• დანართი 9-11: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრების ამსახველი მასალა. • დანართი 12-14 პროგრამის განვითარების კომისიის ოქმები

სტანდარტის დასახელება	5. სწავლის ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგო და პერიოდული

	შეფასება
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის მონიტორინგის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან მიღებულ რაოდენობრივ მონაცემებზე, არამედ გაითვალისწინებს შესაბამის შინაარსობრივ ანალიზსაც.**
შეფასება	განვითარების კომისიის სამივე სხდომაზე (სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან) გამოკითხვების შედეგების განხილვა გასცდა რაოდენობრივ მონაცემებს. კერძოდ, სხდომებზე განიხილეს პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესელი მხარეები, გამოიკვეთა კონკრეტული ტენდენციები და მიღებულ იქნა შინაარსობრივი გადაწყვეტილებები, მაგალითად, ახალი კურსების დამატება, ინდუსტრიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაფართოება და პრაქტიკული ვორქშოფების ორგანიზება. **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• დანართი 12-14: პროგრამის განვითარების კომისიის ოქმები.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლის ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგო და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტუდენტების მიერ კვლევითი კომპონენტის და ხელმძღვანელობის შეფასების მექანიზმები.**
შეფასება	წარმოდგენილი დოკუმენტის — დანართი 15 (ხელმძღვანელების საქმიანობის კვლევა) — მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. შემუშავებულია ხელმძღვანელობის შეფასების სპეციალური კითხვარი, რომელიც მოიცავს 11 კითხვას

	და სისტემატურად აფასებს ხელმძღვანელობის ყველა ძირითად ასპექტს. კერძოდ, კითხვარი მოიცავს ხელმძღვანელის დარგობრივ კომპეტენციასა და პროფესიულ გამოცდილებას, სამაგისტრო ნაშრომის პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მხარდაჭერას, კვლევის დიზაინში ჩართულობას, ლიტერატურის მოძიებაში დახმარებას, სანდო წყაროების გამოყენებაზე ზრუნვას, უკუკავშირის დროულობას, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვაზე ყურადღებას, დამატებითი კონსულტაციების ხელმისაწვდომობასა და ხელმძღვანელის პერიოდული შეფასებების მნიშვნელობას. გარდა ამისა, კითხვარში შეტანილია ღია კომენტარის ველიც, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოხატონ თავისუფალი მოსაზრებები. • **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• დანართი 15: სტუდენტის მიერ ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი.

თანდართული დოკუმენტაცია[18]

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა
- დანართი 9-11: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრების ამსახველი მასალა.
- დანართი 12-14 პროგრამის განვითარების კომისიის ოქმები
- დანართი 15: სტუდენტის მიერ ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი.

ექსპერტის ხელმოწერა

[18]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა